საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის (შემდგომში - სამინისტრო) მნიშვნელოვანი ამოცანაა დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისთვის სწორი და დროული ინფორმაციის მიწოდება პოლიციის საქმიანობის შესახებ. ამისათვის, სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის "Facebook" გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

სამინისტროში სისტემატურად იმართება ბრიფინგები, სადაც ინფორმაცია გახსნილი საქმეების შესახებ პირდაპირ ეთერებში გადაეცემა სხვადასხვა სატელევიზიო არხებს, ასევე, ინფორმაცია მიეწოდება ინტერნეტ სააგენტოებსა და ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ არხებზე.

სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ორგანიზებით ეტაპობრივად მიმდინარეობს კრიმინალური დოკუმენტური სერიალ **„პოლიციის ფაილების“** გადაღება და ეთერში განთავსება. „პოლიციის ფაილები“ რეალურ შემთხვევებზე დაყრდნობით იქმნება და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, პოლიციის მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდასა და პოლიციელის საქმიანობის ფართო მასებისთვის გაცნობას.

2024 წლის ივლისში, ტელეეთერისა და სოციალური ქსელის საშუალებით გავიდა „პოლიციის ფაილების“ (მე-8 სეზონი) ფილმი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ მიმართულებას - ტრეფიკინგთან ბრძოლას ეხებოდა (ეპიზოდი - „ტრეფიკინგის საქმე“).

სამინისტროს მიერ სისტემატურად მზადდება და სოციალურ ქსელში ქვეყნდება საინფორმაციო ბანერები, მათ შორის, აღსანიშნავია:

30 ივლისი - ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული ბანერი.

29 სექტემბერი - ინტერპოლში გაწევრიანების დღესთან დაკავშირებული ბანერი.

2 აგვისტო - სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის, მიგრაციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ტრეფიკინგის საკითხებზე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. სამინისტროს თანამშრომლებმა ადამიანით ვაჭრობის მიმართულებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ასევე, აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის, მიდგომების და მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო სერვისების შესახებ ისაუბრეს. სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან ყურადღება გამახვილდა ამ კატეგორიის დანაშაულების გამოვლენის, მომართვიანობისა და დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობაზე.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, შესაბამისად, უწყებისთვის მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მომართვიანობის უზრუნველყოფა.

- [მართლწესრიგის დაცვა]

საქართველოს მასშტაბით გრძელდება შემეცნებითი ხასიათის შეხვედრების ჩატარება სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან, რაც ემსახურება ახალგაზრდა თაობაში სამართალდამცავი სისტემის სხვადასხვა მიმართულებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას.

25 აგვისტო - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე რაჭაში, შაორის ახალგაზრდულ ბანაკში იმყოფებოდა, სადაც საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა გამართა. აღნიშნულის მიზანს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

ამასთან, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელმა პირებმა 100-მდე ახალგაზრდას ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგის დაცვასთან, საგზაო

მოძრაობის უსაფრთხოებასა და სამოქალაქო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე, ტრეფიკინგის, დისკრიმინაციის, ქალთა და ოჯახური ძალადობის, სამართალდამცავ უწყებასთან დროული თანამშრომლობას და დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობის შესახებ, ასევე, კრიმინალური პოლიციის რეფორმისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემის თაობაზე.

ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ არხებზე, აგრეთვე, გავრცელდა სააგენტოების და მედია საშუალებების მეშვეობით.

7 სექტემბერი - ანაკლიაში, ახალგაზრდულ ბანაკში სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, სადაც 250-მდე ახალგაზრდას ინფორმაცია მიეწოდა მათთვის საჭირო და აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის, მართლწესრიგის დაცვის, ტრეფიკინგის, დისკრიმინაციის, ქალთა და ოჯახური ძალადობის, საგზაო და სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ. დამსწრე პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ სამინისტროს წარმომადგენლებისგან მიეღოთ ამომწურავი პასუხები დასმულ შეკითხვებზე. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ არხებზე.

საანგარიშო პერიოდში ტელეეთერისა და სოციალური ქსელის საშუალებით გავიდა „პოლიციის ფაილების“ (მე-8 სეზონი) სამი ეპიზოდი, რომელიც ეხებოდა გახმაურებულ კრიმინალურ შემთხვევებს, სადაც დეტალურად იყო ნაჩვენები საპოლიციო საქმიანობა და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების კოორდინირებული მუშაობა.

- [სახელმწიფო საზღვრის დაცვა]

2024 წლის 30 ივლისს, ტელეეთერისა და სოციალური ქსელის საშუალებით გავიდა „პოლიციის ფაილების“ (მე-8 სეზონი) ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომში - სასაზღვრო პოლიცია) საქმიანობას შეეხებოდა (ეპიზოდი - „სასაზღვრო პოლიცია“). აღნიშნულ ეპიზოდში წარმოჩენილი იყო სასაზღვრო პოლიციის ყველა მიმართულება: სახმელეთო საზღვრის დაცვა, სანაპირო დაცვა და სასაზღვრო ავიაცია. გარდა ამისა, ფილმში ნაჩვენები იყო დანაყოფში განხორციელებული რეფორმები და სიახლეები, ასევე, გაჟღერდა მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია.

ივლისში, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზას ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავიგაციის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესტუმრნენ. ვიზიტის მიზანს სტუდენტებისთვის სანაპირო დაცვის საქმიანობის მიმართულებებზე ცნობიერების ამაღლება და

დასახული ამოცანების შესასრულებლად არსებული შესაძლებლობების შესწავლა წარმოადგენდა. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებები, გაეცნენ ხომალდებსა და კატარღებზე არსებულ ენერგეტიკულ დანადგარებსა და სანავიგაციო სისტემებს. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სტუდენტების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია განთავსდა სასაზღვრო პოლიციის საინფორმაციო არხებზე.

- [საგზაო უსაფრთხოება]

სამინისტროსთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მართვის უფლების მიღების მსურველებისათვის პრაქტიკული გამოცდის რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში ჩაბარება. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) საქართველოს მასშტაბით მუდმივად ზრუნავს საგამოცდო არეალების გაფართოებაზე და მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.

18 ივლისი - გორსა და ოზურგეთში პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპს ახალი საგამოცდო მარშრუტები დაემატა.

აღნიშნული სიახლისა და მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია გამოქვეყნდა მომსახურების სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

14 აგვისტო - მომსახურების სააგენტომ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემა დაიწყო. საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა ერთი წლის ვადით, ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე. დოკუმენტი მოქმედებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ჟენევის კონვენციის წევრ ქვეყნებში.

საერთაშორისო მართვის მოწმობის მისაღებად, საჭიროა, დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ეროვნული მართვის მოწმობა.

ინფორმაცია გამოქვეყნდა მომსახურების სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

მიმდინარე წელს, **ესპანეთის სამეფოს, ირლანდიასა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ქართული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების და გადაცვლის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.**

შეთანხმების შედეგად, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელები, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეძლებენ მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

ესპანეთის სამეფოსა და ირლანდიაში აღნიშნული ხელშეკრულება უკვე მოქმედია, ხოლო, საბერძნეთის რესპუბლიკაში, მხარეთა მიერ შესაბამისი შიდა პროცედურების დასრულების შემდეგ შევა ძალაში.

აღნიშნული სიახლის შესახებ ფოტო და ვიდეომასალა განთავსდა ოფიციალურ არხებზე, აგრეთვე, გაშუქდა მედია საშუალებებით.

- [სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური]

2 აპრილი - სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს თანამშრომლებმა, ქალაქ ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონ“-ში სახანძრო-საევაკუაციო სიმულაციური სწავლება ჩაატარეს, რომელიც საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების, ხანძრის ქრობის, სასტუმროს პერსონალისა და დაშავებულთა ევაკუაციის სავარჯიშოებს მოიცავდა. მეხანძრე-მაშველების მიერ, შესაბამისი სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენებით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოხდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეფასდა სწავლების მიმდინარეობისას სასტუმროს პერსონალის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის მიზნით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

8-10 ივლისი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებით **საგანგებო და კრიზისული სიტუაციების გაშუქების საკითხებზე მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის სემინარი ჩატარდა.**

მედია-სემინარს სხვადასხვა ტელეკომპანიის, საინფორმაციო სააგენტოებისა და რეგიონული მედიის ჟურნალისტები დაესწრნენ. განხილულ იქნა კრიზისული კომუნიკაციის საფუძვლები და მედიის როლი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული

საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტები და პროტოკოლები, ეთიკა და კრიზისული კომუნიკაცია, პროფესიული ქცევის წესები და სხვა.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ არხებზე, ასევე, გაშუქდა ტელევიზიების საშუალებით.

10 სექტემბერი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორებმა, მინდელის მაღაროს სამთო მაშველებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაუტარეს, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალური სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გვირაბებსა და ტყიბულში, მინდელის მაღაროში, ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კურსი, სპეციალურ სამაშველო, სახანძრო და სამთო-სამაშველო ტაქტიკური მომზადების გარდა, სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი დახმარების, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შესახებ სწავლებასაც მოიცავდა.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ არხებზე.

30 სექტემბერი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა, ქალაქ ბათუმში, საბაგიროდან ევაკუაციის სიმულაციური სწავლება ჩაატარეს, რომლის მიზანს ტექნოლოგიური ავარიის დროს საბაგიროდან მგზავრების ევაკუაციის დახვეწა წარმოადგენდა. მეხანძრე-მაშველებმა, მგზავრების ევაკუაცია სამაშველო ბატუტის, დრონისა და შესაბამისი სპეციალური ტექნიკის გამოყენებით განახორციელეს.

ღონისძიებაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსა და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ჩართულნი იყვნენ სამინისტროს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის და ბათუმის საბაგიროს ადმინისტრაციის თანამშრომლები.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ არხებზე.

- ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის საზღვრისპირა სოფლებში (ლია,

ორსანტია, ზერტი, ბერშუეთი, კირბალი, შავშვები, წითელუბანი, ხურველეთი, ტირძნისი, ტყვიავი, ზემო ნიქოზი, სოფელი მერეთი და გუგუთიანთკარი) მცხოვრებ ქალებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გაიმართა.

შეხვედრის სასაუბრო თემას წარმოადგენდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა“. მონაწილეებს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ღონისძიებებზე, ქვეყანაში არსებულ ძალადობისგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსა და პოლიციისადმი მომართვის გზებზე მიეწოდათ ინფორმაცია.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე, სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მოთავსებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

უწყების წარმომადგენლებმა, შეხვედრის მონაწილეებს, კომპეტენციის ფარგლებში, ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრისას განხილულ იქნა საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართულებით არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და მიღწევები. ყურადღება გამახვილდა ტრეფიკინგის დანაშაულის გამოვლენის, პრევენციისა და მიმართვიანობის მნიშვნელობაზე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომებსა და მხარდაჭერის საკითხებზე, მათ შორის, სახელმწიფო სერვისებსა და უწყებათა კოორდინირებულ სამუშაო პროცესებზე.

საანგარიშო პერიოდში, ტელეეთერისა და სოციალური ქსელის საშუალებით გავიდა „პოლიციის ფაილების“ (მე-8 სეზონი) ეპიზოდი, რომელიც გახმაურებულ მკვლელობას შეეხებოდა. გარდა პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, ფილმში განმარტებული იყო ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები, სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო სერვისები.

- [სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“]

2, 3, 5, 18 ივლისი - მოქალაქეთა დამატებით ინფორმირების მიზნით მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ბანერები, რომლებიც ეტაპობრივად განთავსდა

სამინისტროს სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის (შემდგომში - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

შეხსენებითი ხასიათის ბანერები მოიცავდა შემდეგი შინაარსის ინფორმაციას:

- მობილური აპლიკაციიდან ვიდეოზარის მეშვეობით დაკავშირების შესაძლებლობა ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებისთვის;
- მობილური აპლიკაციიდან „ჩატის“ ფუნქციონალის გამოყენება;
- 112-ის მობილური აპლიკაციიდან ჩუმი განგაშის (SOS) გაგზავნა;
- მობილური აპლიკაციიდან 112-ში ზარის განხორციელება და პარალელურად ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი კოორდინატების გაგზავნა.

14 აგვისტო - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე განთავსდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის შემცველი საინფორმაციო ბანერი.

8 სექტემბერი - გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და თიბისი ბანკის მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებაზე - “TEDxTbilisi Youth” - ღია სივრცეში განთავსებული იყო სტენდი, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მობილური აპლიკაციის მუშაობისა და ნაადრევი ქორწინების შესახებ ინფორმაციის მიღება.

- <u>მიგრაციის დეპარტამენტი</u>

10 და 11 სექტემბერი - ქალაქ ბათუმში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოში მცხოვრებ უკრაინელებთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა უკრაინელებისთვის მათი უფლებების, ხელმისაწვდომი სერვისებისა და თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურებთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება. სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.